



იხილეთ მე-2 გვერდზე

ნაწამები პატიმარი ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრშია გადაყვანილი

გაზეთმა „**პ.ს.**“ -მა მოიპოვა ინფორმაცია ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარი წამების ფაქტზე.

წყაროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, №2 დაწესებულებაში მყოფი პატიმარი დავით ქუთათელაძე მასზე განხორციელებული წამების გამო ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში გადაიყვანეს. პატიმრის დედას კი შვილის მდგომარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მიეწოდა და უთხრეს, რომ მისმა შვილმა შეუძლოდ იგრძნო თავი.

„ძველ ხელისუფლებას ჰქონდა ჩემი შვილის დაკავების ინტერესი. პატიმარი ფლობდა წილს სავაჭრო ცენტრში. აღსანიშნავია ისიც, რომ ციხის დღევანდელი დირექტორი დავით ცირეკიძე უშუალოდ მონაწილეობდა დავითის დაკავებაში. მაშინ ის სამმართველოს უფროსი იყო და მან თავად ჩაუდო ჩემს შვილს ნარკოტიკული საშუალებები. ეს იყო მიზანმიმართული დაპყრობა და ახლა, როცა ცირეკიძე ციხის დირექტორია, ყოველმხრივ ცდილობს, ჩემი შვილი აწამოს და გაანადგუროს,“ - აცხადებს პატიმრის დედა.

აქვე უნდა გავიხსენოთ ამავე დაწესებულების პატიმრის დავით ცუცქერიძის პროტესტის უკიდურესი ფორმა: არაადამიანური მოპყრობის გამო პატიმარმა პირი ამოიკერა და სხეული საწოლზე მიიკერა. ციხეში შესულ ად-

ვოკატს ცუცქერიძე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ გაუსაძლის მდგომარეობასა და დირექტორ ცირეკიძის დაუდევრობაზე ესაუბრა. გასულ თვეში იმავე დირექტორს ადანაშაულებდა ათი პატიმარი, რომელთაც თავი ერთმანეთზე გადაიბეს.

ჩვენ შევეცადეთ, გადაგვემოწმებინა, მართლაც იმყოფებოდა თუ არა დავით ქუთათელაძე ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში. აღმოჩნდა,

რომ პატიმარი მართლაც იქ გადიოდა საჭირო მკურნალობას ბადრავის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ.

ინფორმაციის სამართლიანობის დადგენისათვის შევეცადეთ ქუთაისის სასჯელაღსრულების №2 დაწესებულების დირექტორთან დავით ცირეკიძესთან ტელეფონით დაკავშირებას, რაც იმ დროისათვის ვერ მოხერხდა.

ნესტან ჩაბალიშვილი

34-ე საჯარო სკოლის პროგრესი უნდა ურთი გახდეს?



პ.ს. ფოტო ©

ქუთაისის საკანცლარო „ერთიანა“ ნაციონალურმა მოქარაობამ უმკაცრესად დაკარგა

იხილეთ მე-3 გვერდზე

ახუნდა-არახუნდა პანში

იხილეთ მე-4 გვერდზე

ენერგეტიკის მინისტრის ვიზიტი პარლამენტში კონსტრუქციულად შეფასდა

იხილეთ მე-4 გვერდზე

რაში ინარჩუნა ქუთაისის მერიის სარეზერვუარი ფონდი?

იხილეთ მე-4 გვერდზე

გია დიდმანიძე: „ვინც მონინააღმდეგა, წავიდეს, კარგად ჭამოს და კარგად სვას...“

საზოგადოებრივ ტრანსპორტში უნებურად მოგვარი ყური მეზარების საუბარს, ისინი ქუთაისის 34-ე საჯარო სკოლის მომავალზე საუბრობდნენ და მის სპეციალიზირებულ ზოგად საგანმანათლებლო სპორტულ სკოლად გადაქცეობას

მწვავედ აპროტესტებდნენ. თემამ დამაინტერესა და ვითარებაში გასარკვევად ავტოქარხნის მარჯვენა დასახლებაში მივიღი. როგორც მოსახლეობისაგან შევიტყვე, სკოლისათვის პროფილის შეცვლაზე საუბარი, თურმე მრავალი წელია,

მიმდინარეობს, მაგრამ მიზეზთა გამო იდეა იდეად რჩებოდა. ბოლო პერიოდში კი სპორტული სკოლის იდეის მესვეურები საგრძნობლად გააქტიურდნენ, რამაც ადგილობრივთა საკმაოდ დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია.

დასახლების რამდენიმე ქუჩის მცხოვრებნი გამოვკითხე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ჩემს რესპონდენტს შემთხვევით შევხვდი ქუჩაში და წინასწარი შეთანხმებით არავინ ჩამიწერია.

გაგრძელება მე-2 გვერზე

ციცქიშვილების ხუთსულიან ოჯახს ფეისბუქელები სახლს შეუქანეს

იხილეთ მე-4 გვერდზე

სინა არ არის უსაფრთხო ადგილი...

გია გიორგაძე: „ციხეებში არსებულ ყველა პრობლემას ეტაპობრივად ვაგვარებთ“

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქიმეორონი ქიმეორონი.გე

წიგნების მაღაზია

მისამართი: ქუთაისი, „პოპულში“; ტელ: 790 927 927.

წიგნები უნდა გელოდებოდეს!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპულში“; წიგნების მაღაზია „ქიმეორონი“; ტელ: (790) 927 927.

PS news.ge

ISSN 1987-7056

9 771987 705004

ქუთაისელებმა გუბაზ სანიკიძის კაბინეტი „დასკორეს“

ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის, გუბაზ სანიკიძის მიმართ ამომრჩეველი მუდმივად უკმაყოფილოა. მას მოქალაქეები ამაღელვებელი ყოველდღე, მაგრამ სანიკიძე კაბინეტში არც კი გამოჩენილა. სწორედ ამიტომ, პროტესტის ნიშნად, მოქალაქეებმა მერიის შენობაში მდებარე, გუბაზ სანიკიძის კაბინეტი წებოვანი ლენტით — ე.წ. სკოჩით „აჭედეს“.

როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, **შალვა კამლაძემ** განაცხადა, გუბაზ სანიკიძე არჩევნების შემდეგ, ოქტომბრიდან დღემდე, საერთოდ არ გამოჩენილა შენობაში და, შესაბამისად, არც კაბინეტში ყოფილა. მისივე თქმით, გუბაზ სანიკიძეს კანონი ავალდებულებს, სამკვირავი ერთხელ მაინც შეხვედეს ქუთაისელებს, თუმცა, თვეობით დადიან ადამიანები და მაჟორიტარი დეპუტატი ერთხელაც არ შეხვედრილა. პროტესტის ნიშნად შალვა კამლაძემ და რამდენიმე მოქალაქემ გუბაზ სანიკიძის სამუშაო კაბინეტსა და ტრაფარეტს, სადაც წერია „მაჟორიტარი დეპუტატი გუბაზ სანიკიძე“, წებოვანი ლენტები გადააკრეს.

თავად სანიკიძე მისი კაბინეტის კარის დაღვრვას „ნაციონალურის“ მიერ ორგანიზებულ აქციას უწოდებს.

პრეტენზია, თითქოს მაჟორიტარი მოსახლეობას არ ხვდება, უსაფუძვლოა, განაცხადა სანიკიძემ და დასძინა, რომ პარლამენტის არც ერთი მაჟორიტარი იმდენს არ ხვდება ხალხს, რამდენსაც თავად. მისი განცხადებით, კამლაძემ კარც შეცდომით ამოკეტა. „პრეტენზიის წარმომადგენლებს ვთხოვ, რომ ყოველ ხუთშაბათს, დილის 9 საათიდან დამის პირველ საათამდე არ მომშორდნენ და იყვნენ მიღებაზე. ძალიან მარტივია, ხომ?! „ნაცვები“ შეგებიან ამ ყველაფერს, რადგან დავშალათ მერია, დავშალათ ყველაფერი. ახლა ვიდაც არასამთავრობო გამოაძრეს. კაცი ამბობს იმას, რომ გუბაზ სანიკიძე ხალხს არ ხვდება, ჩემი კარის აჭედვა ვადაწყვეტა და არ იცის ჩემი კარი რომელია. ერთხელ ხომ შეიძლება მოსულიყო?“ — აცხადებს გუბაზ სანიკიძე.

ნანსტან ჩაბალიშვილი

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

რედაქტორი: ნანული ცხვედიანი

დანიშნულება: ირმა ბახტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

რეკლამის მენეჯერი: ლელა თოლორაძე

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“ (პოსტსოციალიზმი).

ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ა-1401

გაზეთი „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: UDC (უაჰ) 3+321 (479.22) (054) 3 - 658 P - 86

მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.

• (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46. • psnews27@gmail.com • www.psnews.ge



34-ე საჯარო სკოლის პრიორიტატი უნდა ურთი გახდეს?

გია დიდმანიძე: „ვინც მონინააღმდეგა, ნავიდეს, კარგად ჭამოს და კარგად სვას...“

პირველი გვერდიდან

ნაილი ვარდანიძე, ავტოქარხნის მარჯვენა დასახლების მცხოვრებელი: „კატეგორიული წინააღმდეგი ვარ სპორტული სკოლისა და ჩემს აზრს აქ მცხოვრებნიც იზიარებენ. ყველანი იმ აზრზე ვართ, რომ უნდა დატოვონ საჯარო სკოლა ყოველგვარი დანამატის გარეშე. ამხელა დასახლება ბალის გარეშე დაგრილი და აღარ გვინდა სკოლის შემთხვევაშიც იგივე განმეორდეს. თუკი ჩვენს მოთხოვნას არ გაითვალისწინებენ, ასე მშვიდად არ ჩავტარებთ. არ დავთმობთ სკოლას და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ყველას არ გვაქვს საშუალება, ბავშვები ქალაქის სხვა სკოლაში ვატაროთ. ვინაიდან ჩვენი უბანი ცენტრის საკმაოდ მოშორებული და იზოლირებულია.“

ნანული ქორიძე, ავტოქარხნის მარჯვენა დასახლების მცხოვრებელი: „მინდა ჩვეულებრივი საჯარო სკოლა! ამბობენ, რომ პანსიონს გააკეთებენ და აქ რომ ამდენი სპორტსმენი ბიჭი იცხოვრებს, ხომ ბარდავი იქნება? რატომ არ ზრუნავს არაფერს იმ ბავშვებზე, ვისაც სპორტი არ აინტერესებს? სასაცილოა ის ფაქტი, რომ მიზეზად სკოლის წინ მდებარე ყანები მოჰყავთ და ამით სკოლის რეპუტაციას ეჭვქვეშ აყენებენ. აცხადებენ, რომ თვითონ მოახერხებენ ყანების გაუქმებას. თუკი ეს შეუძლიათ, რატომ ახლა არ უღებან სკოლას გვერდით? ამბობენ, რომ დეპუტატების მხარდაჭერა აქვთ. ჩვენ მივალთ პარლამენტში და ყველას ვაგავებინებთ, რაც ხდება ჩვენი სკოლის გარშემო. ასე კაცი რომ ვიყოთ სკოლისათვის პროფილის შეცვლის წინააღმდეგი, ჩვენი აზრით ხომ უნდა გაითვალისწინოს ვინმემ, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ აქ. ჩვენმა ბავშვებმა უნდა ისწავლონ და არ გვინდა, მათ სპორტული სკოლის ატესტატი აიღონ.“

მანანა გორაძე, ავტოქარხნის მარჯვენა დასახლების მცხოვრებელი: „არც ცალკე სპორტული სკოლა გვინდა და არც საჯარო სკოლისთვის დამატებული საფეხბურთო პროფილი! ჩვენ ამ უბანში ვცხოვრობთ და უკეთ ვიცით, როგორი სკოლა გვინდა და გვჭირდება. რაღა მაინცდამაინც 34-ე სკოლას ვადავიტყვებ, მსგავსი სკოლა იმ უბანში გახსნან, სადაც რამდენიმე სკოლა და ბავშვებს შეეძლებათ, უპრობლემოდ გადაადგილდნენ, სასურველი არჩევიან გადაეთონ. ჩვენი დასახლება მოშორებულია ცენტრალური დასახლებიდან და პატარა ბავშვებს თავისუფლად ვერ გაუშვებთ, თუნდაც 32-ე სკოლაში. პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი რომ მოვიდა, კი არ გვიხსნიდა, ჩხუბობდა და იმუქრებოდა. „მე თავს არ მივიცი უფლება, თქვენს გარეშე გადაამეწყვიტა, თორემ თქვენ იქნებით თუ არა თანახმა, ჩვენ მაინც ვაგაკეთებთ, თქვენ ვინ გეკითხებათ, ამ პროექტს მხარს დეპუტატები უჭერენო.“ — განაცხადა გია დიდმანიძემ. ესე იგი, არაფერად გვთვლიან. კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ: რომც გარემონტდეს სკოლა და რაღაც კუთხით განვითარდეს, მე მაინც არ მინდა, ჩემს შვილს სპორტული სკოლა ჰქონდეს დამთავრებული და, მეორე, ამის უფლება მაქვს. ახლა, თუნდაც მხოლოდ საფეხბურთო პროფილი დამატდეს, სპორტი მაინც წინა პლანზე წამოვა და საჯარო სკოლა თავისთავად გაუქმდება, როგორ უნდა იარსებოს ერთად გაძლიერებულმა საფეხბურთო სკოლამ და საჯარო სკოლამ? გაუგებარია!“

სკოლისათვის პროფილის დამატებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია თვით სკოლის პედაგოგებში. დირექტორი, რაც მასწავლებლებთან ერთად, 34-ე სკოლისათვის პროფილის დამატებას არ ეთანხმება და სკოლის წინააღმდეგ განხორციელებულ შემოტევებზე საუბრობს.

ნინო ხვადიაძე, 34-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „ქუთაისის 34-ე საჯარო სკოლაში საფეხბურთო სკოლა-პანსიონის დაფუძნების შესახებ წლების



34-ე სკოლა

განმავლობაში, ჩემს დირექტორად მოსვლამდეც იყო საუბარი. აღნიშნულ საკითხზე თანხმობა პროექტის განხილვის გარეშე, ჩემი მოსვლის შემდეგ, 2008 წელს ძველმა სამეურვეო საბჭომ გასცა. ამ თანხმობის მიუხედავად საქმე წინ არ წასულა. ახალმა სამეურვეო საბჭომ და დირექციამ, იმის გამო, რომ მკირეკონტიგენტთან სკოლებს დახურვა ემუქრებოდა, დაიწყა გამოსავლის ძიება. გამოსავალი კი მართლმადიდებლური გიმნაზიის გახსნაზე თანხმობა გახდა. ამ საკითხში ჩართული იყო ეპარქია და რესურს-ცენტრი, საქმე წარმატებით ვითარდებოდა, რომ არა — სამინისტროში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლა. მართლმადიდებლური გიმნაზიის დაარსებაზე მუშაობის პროცესში ბატონმა გია დიდმანიძემ გააქტიურა ისევე საფეხბურთო სკოლა-პანსიონის დაარსების საკითხი, რაც გახდა სამეურვეო საბჭოს განხილვის თემა. წარმოდგენილი პროექტი დაწინაურდა იქნა სამეურვეო საბჭოს მიერ და შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი ეთქვა ბატონ გია დიდმანიძეს. ამის შემდეგ ბატონმა გიამ აღნიშნული საკითხი დასვა ქალაქის მერიის წინაშე, სადაც საკითხის განხილვაზე ვიყავი მიწვეული ქალაქის სპორტული საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად. მე სკოლის პოზიცია დავაფიქსირე. პანსიონის დაფინანსებას ქალაქის მხრიდან უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ქალაქს ჰქონდა სპორტული ბაზა განვითარებული ინფრასტრუქტურით „სალორის“ უბანში.

ოქტომბრის არჩევნებამდე ეს თემა აღარ გააქტიურებულა. არჩევნების შემდეგ სპორტული საფეხბურთო პროფილის დამატებაზე (და არა პანსიონის), სკოლის დამოკიდებულებით დაინტერესდა განათლების სამინისტრო, მოგვებრთეს წერილით (12.11.2012). რომელზეც სკოლამ კვლავ უარი განაცხადა. ამის საფუძველს გვაძლევდა ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება მკირეკონტიგენტთან სკოლების მიმართ. მიუხედავად ამ პასუხისა, წერილი კვლავ შემოვიდა 24.12.2012 წელს. შეგვიბრუნა სამეურვეო საბჭო და კვლავ უარი ეთქვა აღნიშნულ შემოთავაზებას. აღსანიშნავია, რომ იგივე წერილი განმეორებით იქნა სკოლაში შემოსული.

12.02. 2013 წელს აღნიშნული საკითხი კვლავ დააყენა სამინისტრომ სკოლის წინაშე. წერილით შემოვიდა ბატონი ალუდა გოგლიჩიძე. დამიბარეს სამინისტროში, სადაც მოხდა შეხვედრა ბატონ გია დიდმანიძესთან სამინისტროს წარმომადგენლის თანდასწრებით. ამ შეხვედრაზე მე დავაფიქსირე სკოლის პოზიცია, რომ ის მდებარეობს ქალაქის ძირითადი ნაწილისაგან იზოლირებულ უბანში. იგი ემდებარება მას სარკინიგზო მაგისტრალით, ბეტონის ქარხნითა და დაუსახლებელი ტერიტორიით და რომ

სკოლას უბნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. საფეხბურთო სკოლის გახსნის შემთხვევაში ბევრ მშობელს არ აქვს სურვილი, მსგავს სკოლაში ატაროს შვილი და იძულებული იქნება, გაიყვანოს უბნიდან, რისი ეკონომიური და ზოგჯერ ფიზიკური საშუალებაც მათ არა აქვთ. ბატონმა გია დიდმანიძემ განაცხადა, რომ სკოლაში სწავლაზე ბავშვებს ხელი არ შეეშლებათ, მაგრამ შემდეგ საუბარში დააფიქსირა, „ვისაც არ უნდა, 32-ე საჯაროში წავიდესო“. ეს კი უბნის მცხოვრებთათვის მითითებას ჰგავდა (32-ე სკოლას არც ისე მოსახერხებელი მდებარეობა უჭირავს უბანში მცხოვრებ ბავშვებისათვის). ამ შეხვედრაზე ბატონმა გიამ დააყენა, რომ წინა ხელისუფლება მას არ უჭერდა მხარს, რადგან ოპოზიციონერი იყო და ამჯერად მისი მხარდამჭერები იყვნენ „ქართული ოცნების“ ცნობადი სახეები, რაც ჩემთვის საეჭვოა.

ბოლო შეხვედრის დროს განათლების სამინისტროში შემოთავაზეს, შემსწავლა თბილისის 35 სკოლის მდგომარეობა, რათა წარმოდგენა შემქმნოდა, თუ რა ტიპის სასწავლებელს გვთავაზობდნენ იქნა სკოლაში. ვინაიდან სკოლას არ ჰყავდა სამეურვეო საბჭო, ერთპიროვნულად ვერ მივიღებდი გადაწყვეტილებას. შეგვიბრუნა მშობლები და მივაწოდე ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ხელთ მქონდა. მშობლებმა სკოლისათვის საფეხბურთო პროფილის დამატებაზე უარი განაცხადეს, გააკეთეს ხელმოწერები, რომელიც წარადგინეს პარლამენტის განათლების კომიტეტში და განათლების სამინისტროში. უახლოეს მომავალში, ვფიქრობ, აღნიშნული საკითხის შესასწავლად შეიძლება შეიქმნას კომისია.

მე, პირადად, მაქვს კითხვები, რომელზეც პასუხი არამარტო ბატონმა გია დიდმანიძემ უნდა გასცეს, არამედ — იმ მხარემ, რომელიც აპირებს, დააფინანსოს პროექტი. **საფეხბურთო სპორტული მომზადება შეიძლება მოსწავლემ აღწეოს 10-11 წლიდან. მაშინ პირველ კლასში, 5 წლის ბავშვს, ქალაქის სხვადასხვა უბნიდან აღნიშნული ტიპის სკოლაში მშობელი რატომ მოიყვანს? დაწყებითი კლასების ფუნქციონირების გაზრდა ვინ გახდება?**

ხომ არ აჯობებს, მსგავსი სკოლა გახსნას ქალაქის იმ უბანში, სადაც სკოლების არჩევანის საშუალება? ან იმ სკოლებში, რომლებიც ისტორიულად იყვნენ სპორტული სკოლები და ინფრასტრუქტურა 34-ე საჯარო სკოლასთან შედარებით კარგად აქვთ განვითარებული? და თუ ეს საკითხი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, მაშინ სკოლას და მოსახლეობას არავინ შეეკითხება. ხოლო თუ სკოლას და უბანს ეკითხებიან, მაშინ რამდენიმეჯერ უარის მიღების შემთხვევაში, რატომ

ხდება აბელირება კვლავ 34-ე საჯარო სკოლაზე და რატომ არ შესთავაზებენ ამ წინადადებას იმ სკოლებს, რომლებიც გაცილებით კარგად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა აქვთ?“

დირექტორის მოსაზრების მოწინააღმდეგეთა გუნდში მყოფნი კი აცხადებენ, რომ სკოლას ვადარჩენის ერთადერთი გამოსავალი აქვს, ვინაიდან უბნიდან მოსწავლეების გადინების გამო იგი მკირეკონტიგენტთან გახდა. თუ რა სარგებლობა შეიძლება მოტანოს სკოლას პროფილის დამატებამ, ამას მათემატიკის მასწავლებელი, სკოლის ყოფილი დირექტორი **მამია ნუტუბიძე** შემდეგნაირად განმარტავს:

„ამ სკოლას სხვა გამოსავალი არ აქვს. შვილი წლის განმავლობაში ვაზრდის ანაცვლად შემცირდა კონტინენტი და ასე სკოლა ვერ იარსებებს. ამ უბნის მოსახლეობაც კი სხვაგან დადის სკოლაში. თქვენ არასწორი ინფორმაცია გაქვთ, თითქოს მოსახლეობა თანახმა არ არის. 800 ადგილობრივი ხელმოწერა გვაქვს, ვინც სკოლისათვის პროფილის შეცვლას ეთანხმება. მოსწავლეები ივარჯიშებენ, გაკვეთილებზე ჩვეულებრივად ჩატარდება, სწავლის პროცესი გამოკეთდება, თორემ არ გაუარესდება. რაც მთავარია, კონტინენტი გაიზარდა. პირველი კლასიდან მოვლენ ბავშვები. ეს პროექტი ათი წლის წინ ამართდა, საშუალება არ ჰქონდა ქალაქს, ამიტომ არ გვიფინანსებდნენ, ახლა კი მოვიპოვეთ დაფინანსება და, იმედია, მალე განვანორციელებთ. რას ხედავენ ამაში ცუდს? რამდენიმე ადამიანის ნათქვამს ნუ დაუჯერებთ, სკოლა სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის, ქალაქისთვის და, რაც მთავარია, უბნის მოსწავლეებისთვის.“

სკოლისათვის საფეხბურთო პროფილის დამატების აქტიური მხარდამჭერია ვეტერან ფეხბურთელთა საინიციატივო ჯგუფის და ეროვნული ფორუმის წევრი (როგორც თავად წარმოგვიდგა რედაქციამ) სტუმრობისას, — „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსის მოადგილე) **გია დიდმანიძე**: „გადაწყვეტეთ, ქუთაისში გაგვეკეთებინა დავით ყიფიანის სახელობის სპეციალიზირებული ზოგად განმანათლებლო სპორტული სახელმწიფო სკოლა. დაწყებული სერგო კოტორიკიდან, დამთავრებული ნაკრების ყველა ფეხბურთელის ხელმოწერილი წინადადებით მივმართეთ პრეზიდენტს. სააკაშვილმა ამ პროექტს მამოწვე დაადო რეზოლუცია. დაავალა განათლების და სპორტის სამინისტროებს საკითხის გადაწყვეტა. განათლების სამინისტრომ 2007 წელს გამოვიყო სკოლა, თორემ ეს სკოლა ჩვენ კი არ ავირჩევია.“

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ქუთაისის საკრებულოში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ უმრავლესობა დაკარგა

გასულ კვირაში, ქუთაისის საკრებულოს უმრავლესობის მანდატის მქონე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რიგები ცხრა დეპუტატმა დატოვა, მათ შორის — საკრებულოს ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ თამაზ მარგველაშვილმა.

როგორც ფრაქციის აწ უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ კახა ნემსიფერაძემ განაცხადა, ის რვა წელი იყო ფრაქციის თავმჯდომარე და ამ დროისათვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაში“ თავისი შესაძლებლობები ამოწურა, რის გამოც მიიღო გადაწყვეტილება — ფრაქცია დატოვოს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა გიორგი გოგუშვილიძემაც, რომელიც ნაციონალების რიგებს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან“ შეუერთდა.

მოსალოდნელი ექვი, რომ პარტიებმონაცვლე დეპუტატები „ქართულ ოცნებაში“ გადაბარდებოდნენ, არ გამართლდა: ყოფილმა ნაციონალებმა „ქართულ პატრიოტთა ალიანსი“ შექმნეს, რომელსაც სათავეში თამაზ მარგველაშვილი ჩაუდგა.

უმცირესობაში დარჩენილმა ნაციონალებმა ახალი ოთხკაციანი ფრაქცია ჩამოაყალიბეს, რომლის ხელმძღვანელა-



დაც გია უკლებამ აირჩიეს.

ყოფილი თანაგუნდელების საქცი-

ელს უმალვე მოჰყვა შეფასება ნაციონალების მხრიდან.

ქუთაისის ყოფილი მერი და ამჟამად საპარლამენტო უმცირესობის წევ-

ნესტან ჩაბალიშვილი

34-ე საჯარო სკოლის პრიორიტეტი ფეხპირთი გახდება?

გია დიდმანიძე: „ვინც მონინააღმდეგა, ნავიდეს, კარგად ჭამოს და კარგად სვას...“

მე-2 გვერდიდან

34-ე სკოლაზე იმითმე შეაჩერეს არჩევანი, რომ მცირე კონტიგენტიანია. პრობლემა იყო სპორტული სკოლის დაფინანსება, ის კეთდება განათლების კანონის 27-ე მუხლით, რომლის ფარგლებშიც, ზოგად განათლებასთან ერთად იქნება სპორტული სწავლება. ზოგად სწავლებას აფინანსებს განათლების სამინისტრო, სპორტულ სწავლებას კი — ადგილობრივი თვითმმართველობა ან დარგობრივი კომიტეტი, მაგრამ უნდა მოხდეს დარგობრივი საკითხების განხილვა. წინა წლებში დაფინანსება არ იყო და შეჩერდა. ახლა გადაწყვეტილია, რომ განვხორციელოთ იდეა და სკოლას დაუფინანსოთ მხოლოდ საფეხბურთო პრობლემა.

პარლამენტის ყველა დეპუტატი, განათლების კომიტეტი, ყველა ფრაქცია, სპორტის სამინისტრო თანახმა არიან. ქუთაისის მერმა ბესიკ ბრეგაძემ გამოთქვა მზადყოფნა დაფინანსების, პატრიარქის კურთხევა გვაქვს. აღმოჩნდა დასახლებაში 5-6 ადამიანი, რომელსაც არ აწყობს მაგ სკოლის გაკეთება და რა კეთდება ცუდი, ახსნას ვინმემ. ჩემი აზრით, ახალი საჯარო იურიდიული პირი რომ ფუნქციონირებდა ამ მაზრაზე და რეორგანიზაცია მოხდებოდა სკოლაში. ალბათ, შეიცვლება დირექტორი, ეს ადამიანები კი დირექტორის მეგობრები არიან და მხარს უჭერენ მას.

— თუ კარგად კეთდება, რატომ შესწირავენ მშობლები ბავშვების კეთილდღეობას დირექტორის ინტერესებს?

— მშობლები — არა, 5-6 ადამიანი, რომელთაც ანაც ერთ-ერთი იყო სამეურვეო საბჭოს წევრი და სკოლის დირექტორის მეგობრები. ამით ყველაფერი ვასაგებია. სპორტული სკოლები ყოველთვის იყო და ბიჭები და გოგონები ერთად სწავლობდნენ, მაგრამ რა შედეგობა ამით? დასახლების ბავშვები სხვაგან კი არ სწავლენ, აქ ისწავლიან. სკობია, დირექტორმა ინტერესობას თავი დაანებოს, 180

ბავშვია დოკუმენტებით და ნაკლები სწავლობს სინამდვილეში, ვინაიდან ამით უნდა დაძალონ, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია.

— ის, რომ მცირეკონტიგენტიანი სკოლაა, რამდენად საკმარისი მიზეზია მისთვის პროფილის შესაცვლელად? სოფლებსა და თემებში სკოლები მცირეკონტიგენტიანია და, გამომდინარე, ამ მიზეზით უნდა დაიხუროს. ეს ხომ დასახლებაა და, თავისთავად, მცირე კონტიგენტი ეყოლება?

— ის სოფელია და სოფელში ბავშვი სხვაგან ვერ წავა, აქ კი ალტერნატივა აქვთ. რა კეთდება ცუდი, რა არ მოსწონთ? ჯერ იდეას გავცნოთ და მერე გამოთქვან აზრი. კარგად მოაზროვნე ადამიანი რომ შეხედავს ამ პროექტს, როგორ შეიძლება, არ მოეწონოს! ჩვენ 650 ადგილობრივი ხელმოწერა გვაქვს, ვინც მოწინააღმდეგეა, წავიდეს, კარგად ჭამოს და კარგად სვას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პატრიარქის კურთხევა გვაქვს, პაერზე არაფერს არ ვაკეთებთ. ყველაფრის დოკუმენტი გავაჩინა.

— რა გარანტია გაქვთ, რომ საფეხბურთო პროფილის დამატებით სკოლის კონტიგენტი გაიზარდება?

— 300 ბავშვი დაემატება ამ სკოლას, მოვლენ ბავშვები მთელი ქალაქის მასშტაბით.

— რატომ მოიყვანს მშობელი სპორტულ სკოლაში სასწავლებლად, პირველი კლასის მოსწავლეს, რომელსაც ფეხბურთის თამაში არ შეეძლება?

— ბავშვი პირველი კლასის ასაკიდან იწყებს ფეხბურთის თამაშს, მას ფეხებში ეტყობა, გამოვა თუ არა მისგან ფეხბურთელი. ფეხბურთის თამაშთან ერთად ბავშვი მიიღებს ზოგად განათლებას, ქუჩაში არ იქნება, ნარკოტიკებს არ გაეკარება და ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავდება. ვინც არ უნდა გავაყდეს, ეს სკოლა მაინც ვაკეთებდა. ვაპირებთ, გავაკეთოთ ფეხბურთის დიდი და მცირე მოედნები, კალათბურთის და ფრენბურთის მოედნები, ტრენაჟორების დარბაზი, რეზო ძოძუაშვილი იქნება მთავარი მწვრთნელი. ძალიან დიდი პროექტია. უცხო ენების გაძლიერებული

სწავლა იქნება.

— თუკი სპორტის სხვა სახეობებზეც აკეთებთ აქცენტს, გამოდის, რომ მხოლოდ საფეხბურთო პროფილი არ დაემატება და მთლიანად სპორტული სკოლა კეთდება. ხომ არ აჯობებს, მსგავსი ფართომასშტაბიანი სპორტული პროფილის სკოლა დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოაყალიბდეს?

— არა, ეს ერთი ორგანიზაციაა და დამოუკიდებლად რატომ უნდა გაიხსნას? სწავლასთან ერთად ხომ სპორტიც აუცილებელია. ფეხბურთთან ერთად სხვა სპორტსაც დაუფლებიან, თორემ აქცენტს ფეხბურთზე გავაკეთებთ.

— ამ კუთხით, ხომ არსებობს სპორტის გაკეთებელი და, თუ მიგაჩნიათ, რომ გაძლიერებული სპორტი აუცილებელია, გამოდის, მსგავსი პროფილი ყველა სკოლას უნდა დაემატოს, რადგან ერთი სკოლა მთელი ქალაქის ბავშვების მომსახურებას მაინც ვერ შეძლებს. როგორ მოხდება შერჩევა, მოსულ ბავშვს უარს ხომ ვერ ეტყვი, ვინაიდან, როგორც პროექტით არის ნაგულისხმები, ეს ჩვეულებრივი საჯარო სკოლა იქნება?

— 600 გამორჩეული ფეხბურთელი არის ამ ქალაქში? ჩვენ 600 ბავშვს დავამატებთ სკოლას, მთელი ქალაქის მომსახურებას ვერ შევძლებთ, მაგრამ ყველა კარგი ფეხბურთელი არ იქნება. ვინც ფეხბურთელი არ გამოვა, გვექნება კლასი „მაღალგვა არბიტრა“ და პროფესიონალ მწვრთნელებს მოვამზადებთ. თბილისშიც მსგავსი მხოლოდ ერთი სკოლაა.

— რადგან ეს დარჩება ჩვეულებრივი საჯარო სკოლა, ხომ შეიძლება, დასახლების ბავშვებმა გამოთქვან მხატვრული და სახელოვნებო წრეების შექმნის სურვილი. გაითვალისწინებთ თუ არა მათ აზრს?

— თუკი იქნება მოთხოვნა, რომ გაიხსნას ცეკვის და სიმღერის წრეები, როგორც ეს არის ზოგადად სკოლებში, მაშინ წინააღმდეგი არავინ იქნება, მაგრამ ეს იქნება კერძო და სპორტის მსგავსად, ამას სახელმწიფო ვერ დააფინანსებს.

იმის გადასამოწმებლად, მართლა აუნთო თუ არა პროექტს მწვანე შუქი დეპუტატთა უმრავლესობამ, სამინისტროებმა, ქუთაისის მაჟორიტარმა და რამდენად არიან ინფორმირებულნი სკოლის მომავალ ბედთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრს, პროფესორ ომარ ნიშანიძეს დავუკავშირდით და კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ:

— თბილისში თუ არის და კარგად ფუნქციონირებს სპორტული სკოლა, ქუთაისში რა პრობლემებს შექმნის, რა დამატება? პირადად მე მხარს ვუჭერ, თუ გაკეთდება სპეციალიზირებული ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული სკოლა, როგორც ეს პროექტითაა ნათქვამი, თუ ახალი და კარგი გაკეთდება, მივესალმები, მაგრამ არ დავუშვებ, რომ სკოლამ სრულად შეიცვალოს პროფილი და მხოლოდ სპორტული სკოლა გახდეს. რაც არის ჩანაფიქრში — მხოლოდ საფეხბურთო პროფილის დამატება — კარგია, ვინაიდან წაადგება ქართულ და ქუთაისურ სპორტს. ამას სხვა დეპუტატებიც უჭერენ მხარს. როგორც აღვნიშნე, იდეა ცუდი არ არის, მაგრამ დეტალურად შესწავლას მოითხოვს. შუამდგომლობით შევალ პარლამენტის განათლების კომიტეტში, რომ მოვაწყუთ სხდომა, მოვიწვიოთ დაინტერესებული მხარეები და გავარკვიოთ, რა იგეგმება, ვინ და რატომ აწინააღმდეგე. რამდენადაც ჩანს, სერიოზული არგუმენტები არცერთ მხარეს არ აქვს. ჩემთვისაც ცნობილია ის ფაქტი, რომ სკოლის დირექტორს ეშინია თანამდებობის დაკარგვის, რაც მისი უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზია.“

— აღნიშნავს ომარ ნიშანიძე. როგორც გია დიდმანიძე აცხადებს პროექტის დაფინანსებაზე თანხმობა გამოთქვა ქუთაისის მერიამ, კერძოდ კი ამჟამინდელმა მერმა ბესიკ ბრეგაძემ, რისი დამადასტურებელი დოკუმენტიც წარმოადგინა, მაგრამ რა როდენობის თანხას გაიღებს ადგილობრივი მთავრობა სკოლის დაფინანსებისათვის, არ დაასახელა და უქრნალისტის დაინტერესების გამო უკმაყოფილება გამოთქვა. როგორც თვითონ აღნიშნა

რი გია თევდორაძე ქუთაისის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობიდან“ დეპუტატების წასვლის ფაქტს გამოეხმაურა.

„არსებულ სიტუაციაში ოპოზიცი-აში ყოფნა ძალიან მძიმე ტვირთია. დღეს საქართველოში ოპოზიციონერობა პოლიტიკურ წინეხთან, დისკომფორტთან და ერთგვარი პრინციპების დაცვასთან არის გაიგივებული. არიან ადამიანები, რომლებიც ყველაფერ ამას ღირსეულად ართმევენ თავს, ჩვენდა საბედნიეროდ. თუმცა, სამწუხაროდ, არიან ადამიანები, ჩემი ყოფილი თანაგუნდელები, რომლებსაც შესაბამისი პრინციპულობა და ნებისყოფა არ აღმოაჩნდათ. სწორედ პრინციპულობისა და ნებისყოფის არაღმარების პრეცედენტი იყო ქუთაისში. ჩვენთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმ პოლიტიკური ხედვების სისწორეში, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ გააჩნია,“ — განაცხადა გია თევდორაძემ.

გია უკლებამ კი „ქართველ პატრიოტთა ალიანსის“ წევრებს „პოლიტიკური ცხოველები“ უწოდა, რომლებიც თანამდებობისათვის ყველაფერს კადრულობენ.

ნესტან ჩაბალიშვილი

ნესტან ჩაბალიშვილი

ამენდა-არამენდა ვანი

ვანის რაიონში სამშენებლო პროექტების შეჩერებაში საპარლამენტო უმცირესობის წევრი, ვანის მუნიციპალიტეტის დეპუტატი პაატა ლეჟავა უმრავლესობის წევრს, დავით ლორთქიფანიძეს ადანაშაულებს.

„წინა ხელისუფლების პირობებში იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ვანის რაიონის ერთ-ერთ სოფელში აშენებულიყო სკოლა. ეს პროექტი არჩევნების შემდეგ შეჩერდა. განათლების სამინისტროსგან მივიღე პასუხი, რომ ამ პროექტის მშენებლობა გაგრძელდებოდა და დასრულდებოდა, მაგრამ სკოლის მშენებლობა არ გაგრძელდა და, როცა არაოფიციალურად მივიკითხე, აღმოჩნდა, რომ ჩვენმა კოლეგამ, დავით ლორთქიფანიძემ ამ სკოლის მშენებლობის შეჩერება მოახერხა. ამის მარტივი მიზეზი აღმოჩნდა ის, რომ ამ სკოლის მშენებლობის შეჩერება დამბრალდებოდა მე. არის მეორე მაგალითი: ვანის რაიონის სოფელ სულორში შეჩერდა გზის მშენებლობა, რომლის 90% უკვე დასრულებულია. ასევე მცდლობდა იყო, შეჩერებულიყო ვანის არქეოლოგიური მუზეუმის მშენებლობაც, მაგრამ მისი შეჩერება ვერ მოხდა, რადგან ამ პროექტის 90%-ს მსოფლიო ბანკი აფინანსებს.“ — განაცხადა ლეჟავამ.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმთან დაკავშირებით „psnews.ge“-მ გასულ თვეში მოამზადა მასალა, სადაც ნათქვამი იყო, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით ლორთქიფანიძე ცრუობდა, როცა ამბობდა, რომ მუზეუმში სარემონტო სამუშაოები გრძელდება, რისთვისაც ბიუჯეტთან 7 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო „psnews.ge“-სთვის გამოგზავნილ წერილში აცხადებდა, რომ პროექტი მხოლოდ იდენს დონეზეა და ამ დროისათვის მუზეუმის რეკონსტრუქციისათვის თანხები არ გამოყოფილია.

ნათნა ჩაბალიძე psnews.ge

რაში იხარჯება ქუთაისის მერიის სარეზერვო ფონდი?

კოალიციამ „გამჭვირვალე თვითმმართველობისათვის“ ქუთაისის მერიის წინ ბრიფინგი გამართა და ქუთაისის მერია საშტატო ერთეულების უპრეცედენტო ზრდაში, სარეზერვო ფონდის მიზანმიმართულ ფლანგვასა და ერთჯერადი მატერიალური დახმარებების არათანაბარ განკარგვაში დაადანაშაულა.

„ბიუჯეტის მიხედვით, 2013 წლისათვის სარეზერვო ფონდში გათვალისწინებულია 400 000 ლარი, რომელიც ექვემდებარება კანონით დადგენილი წესით მიზნობრივ ხარჯვას. ჩვენს სინამდვილეში კი, ხსენებული თანხიდან პირველ სამ თვეში დახარჯულია 105 000 ლარი მატერიალური დახმარებების სახით. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნული თანხების გაცემა იგეგმება 19 აპრილამდე იმ პირობებზე, რომლებიც აპირებენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაანონსებულ აქციაზე წასვლას. გარდა ამისა, ხდება ადმინისტრაციული რესურსის აქციაზე იძულებით წაყვანა.“ — განაცხადა კოალიცია „გამჭვირვალე თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე მანანა მანავაძემ.

მანავაძის განცხადებას გამოეხმაურა ქუთაისის ვიცე-მერი ამირან ძოწენიძე.

„არ ვიცი, საიდან მოაქვთ ეს ამბები. სამწუხაროდ, მატერიალური დახმარების ფონდში იმდენი თანხა არ არის, რამდენიც აქციაზე წასვლის მსურველი. ეს თანხები საჭიროებისამებრ იხარჯება.“ — განაცხადა ამირან ძოწენიძემ.

ნათნა ჩაბალიძე psnews.ge

ციციშვილების ხუთსულიან ოჯახს ფეისბუქზე სახლს შეუქმნენ

ამ დღეებში კიდევ ერთხელ დაგრწმუნდი, რომ საზოგადოების თანადგომას სიკეთის კეთება შეუძლია! — ამბობს ჩვენთან საუბრისას ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზრულში მცხოვრები პედაგოგი და ჟურნალისტი როლანდ ხოჯანაშვილი, რომელმაც სოციალური ქსელის (Facebook-ის) მეშვეობით მეგობრებს სოციალურად დაუცველი ციციშვილების ხუთსულიანი ოჯახი გააცნო და მათ დახმარება სთხოვა.

როლანდ ხოჯანაშვილი: „ჩემმა მეგობარმა, მე-9 არხის ჟურნალისტმა მადლენა მაჭარაშვილმა მითხრა, საჩხერის ერთ ნასოფლარში, სხვის ფიცრულში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობს და უკიდურესად უჭირსო. მერე ერთ კვირაში ისევ მომწერა, რამაშ ციციშვილის ცოლი იყო ჩამოსული საჩხერეში, სოციალური შემწეობა არ მისცეს კრედიტად, რადგან რამდენიმე თვისა ჰქონდა აღებული და მხოლოდ სამი კილო კარტოფილით დაბრუნდა ბავშვებთან. ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტელესიუჟეტში მენახა და ფულის შეგროვება დამეწყა.“

როცა ნასოფლარში ავედი, ვნახე, რომ ფიცრულს, რომელსაც არც მინები აქვს მწყობრში და არც კედლები, გარშემო მხოლოდ ტყე აკრავს რამდენიმე კილომეტრზე. სასაფლაოზე ყველაზე გვიანდელი მიცვალებული 1951 წელს

დაუკრძალავთ, მოსახლეობა კი სოფელიდან მარნეულში გაუსახლებიათ. ოჯახში ხუთი სული ცხოვრობს, სამი მცირეწლოვანი ბავშვი იზრდება. მათთან მივიტანე ფეხილი, ზეთი, შაქარი, კარტოფილი, ტკბილეული. ოჯახის ერთადერთი ოცნება იყო — სადმე, სოფელში სახლი ჰქონოდა.

ფეისბუქით დავიწყე თანხის შეგროვება და ამ დროისთვის 900 დოლარი მაქვს. სახლის საყიდელ ფულს კიდევ აკლია 300 დოლარი, რომელსაც, ვფიქრობ, მალე მოვაგროვებ. ციციშვილები 30 მარტს უკვე გადმოვიყვანე გეზრულში. მთელი სოფელი დიდი ამბით დახვდა. სახლის დერეფანია სარემონტო და შევაკეთებთ. ჭიათურის მუნიციპალიტეტი გვეხმარება, საჩხერეც აპირებს. საჩხერის გამგებელმა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ოჯახს 300 ლარი მისცა. უფრო მეტად მეგობრები დამეხმარნენ. თანამ-



ციციშვილების ოჯახი

შრომლების გარდა, შემოწირულობა გაიღეს ემიგრანტებმა, ზოგმა — რამდენი, ზოგმაც — რამდენი! ახლა სახლის ფულს რომ მოვაგროვებ, ამოვისუნთქავ, ფუტკარს და ქვევრს ვაჩუქებ, ვაზს ჩავაყრევინებ, ყანას ხარებით მოვახენევენებ და შემოდგომაზე მჭადიც ექნებათ.“ როგორც როლანდმა გვითხრა, მაისის

დასაწყისში, ციციშვილების ოჯახის დასახმარებლად, ქუთაისის ოპერის თეატრში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება. კონცერტს ორგანიზებას თეატრის მმართველი, ქალბატონი როზა დვალისვილი გაუწევს.

ნოდარ ჯოჯუა

ენერგეტიკის მინისტრის ვიზიტი პარლამენტში კონსტრუქციულად შეფასდა

4 აპრილს ენერგეტიკის მინისტრსა და საპარლამენტო უმცირესობას შორის შეხვედრა ორსაათიანი შეხვედრა მიმდინარეობდა. დასრულების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ თითქმის ყველა წევრმა შეხვედრა კონსტრუქციულად შეაფასა. გიორგი ბარამიძემ და უმცირესობის კიდევ რამდენიმე დეპუტატმა კალაძეს საპარლამენტო რიტორიკიდან გამოსვლა და რეალობის ობიექტურად შეფასება მოუწონა, რასაც, მათი თქმით, მთავრობის ბევრი წარმომადგენელი ამ დრომდე ვერ ახერხებს.

ძირითადი კითხვები გაზიფიცირებას, გამრიცხველიანებასა და წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას შეეხებოდა. ირმა ნადირაშვილმა კალაძეს პრემიერის

ის წინასაარჩევნო განცხადება შეახსენა, სადაც ამბობდა, რომ საწვავის ფასი განახევრდებოდა, რადგან ეს ნახევარი ნაციონალების ჯიბეში მიდიოდა.

„რადგან მინისტრმა უარყო, რომ ტარიფებისა და საწვავის განახევრებაზე იყო არჩევნებამდე საუბარი, მე სპეციალურად მისთვის ამოვიღე ბიძინა ივანიშვილის განცხადებები, სადაც დასტურდება, რომ პრემიერი ამ ყველაფერზე ნამდვილად საუბრობდა. მე მაინტერესებს, რატომ არ განახევრდა ტარიფები და საწვავის ფასი? ვის ჯიბეში მიდის ახლა ბენზინის 1 ლარი, ან თუ ასეთი ლარი არ არსებობს, აღიარონ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ წინასაარჩევნო სპეკულაციები იყო.“ — აღნიშნა

ნადირაშვილმა. მინისტრმა განაცხადა, რომ ამ თემაზე გამოძიება მიმდინარეობს და შედეგს სულ მალე მთელი საზოგადოება გაიგებს.

კახა კალაძემ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ასეთი შეხვედრები მთავრობის მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის. მისივე თქმით, არსებობს კითხვები და მოთხოვნები უმცირესობის მხრიდან, რომელთა გათვალისწინებაც ძალიან მნიშვნელოვანია.

„რაც შეეხება წინასაარჩევნო დაპირებებს, ვადასტურებ, რომ ყველა დაპირება ეტაპობრივად აუცილებლად შესრულდება. შემცირდება ელექტროენერჯის ტარიფი, საწვავი რამდენიმე


თეთრით გაიფხვრა და იგეგმება, რომ ეს პროცესი გაგრძელდეს.“ — ამბობს კალაძე.

დავით ბაქრაძის თქმით, რაღაც შეკითხვებს პასუხები გაცემა, მაგრამ ინტერესი კვლავ დარჩა და მან კახა კალაძისგან დაპირება მიიღო, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრა უმცირესობასთან კვლავ გაიმართება.

როგორც შეხვედრაზე გადაწყდა, არ არის გამორიცხული, რომ მაისში, როდესაც ენერგეტიკის მინისტრს გაზიფიცირების ვაჭერილი გრაფიკი ექნება, კვლავ მოხდეს შეხვედრა, მაგრამ — უკვე მაქროტიკარებთან.

ნათნა ჩაბალიძე psnews.ge

საჩხერეს №1 საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე ნინო ცყავაძე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამაში „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მონაწილე უცხოელი მოხალისე მასწავლებლის შესახებ.



ნათნა ჩაბალიძე psnews.ge

საკრებულოდან გადამდგარი ხვადაგიანი ბოტანიკური ბაღის გასაცოცხლებლად იშრომებს

ქუთაისის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციისა და განაწესების ახალი ეტაპი იწყება, რაც ბაღში არსებული მცენარეების, ყვავილასაშენებისა და ვარდების ბაღის გაკეთებას ითვალისწინებს. ქალაქისათვის ბაღის მნიშვნელობასა და მის აუცილებლობაზე ამხეველებს ყურადღებას ბოტანიკური ბაღის ახალი დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან ხვადაგიანი. სწორედ ქალაქის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის ინიციატივით გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ქუთაისის ბაღის მნიშვნელობის, მისი განცხადებით, მსგავსი შეხვედრები მოწყობა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან და ბაღის სასიკეთოდ გამოთქმული მათი რჩევები და მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება.

ამირან ხვადაგიანი, ბოტანიკური ბაღის დირექტორი: „მინდა, ხმაბალა განვაცხადო, რომ ბოტანიკური ბაღის სახით ჩვენს ქალაქს აქვს მცენარეთა უნიკალური მუზეუმი და ძალიან დიდი ფასეულობა, ოქროს ფონდი, რომელსაც სჭირდება მიხედვა. ძალიან დიდი გეგმები გვაქვს ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით. აქედან გამოყოფილი რამდენიმე: პირველი — აუცილებელია მიხედვის ბოტანიკურ ბაღს. ბოტანიკური ბაღის, გაუფრთხილდეს იმ ოქროს ფონდს, რასაც მცენარეთა მუზეუმი ჰქვია. მეორე და მთავარია — ქუთაისის საზოგადოებაში უნდა გავაცოცხლოთ ბოტანიკური ბაღის არსებობა. ძალიან მტკიან მე ის, რომ აღიზარად თაობა, რომელმაც არც იცის, თუ ქუთაისის სინამდვილეში ასეთი მუზეუმი გავაჩნია. მესამე და ძირითადი, ვფიქრობ ისაა, რომ ბოტანიკურ ბაღს ახლო მომავალში დაუბრუნონ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნი-

ერო ფუნქცია. დიდი იმედი გვაქვს განათლების სისტემის. გვინდა მემორანდუმით გავაფორმოთ სკოლებთან. საწყენია, რომ ტარდება ბიოლოგიის გაკვეთილები და მოსწავლეები ბოტანიკურ ბაღში არ ყოფილან. დარწმუნებული ვარ, ჩვენს გეგმებს განვახორციელებთ და ჩვენს ქალაქს ექნება ისეთი ბაღი, როგორც ეკადრება.“

ბორის თვალაძე, ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში: „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი უძველესია. ბაღი მე-19 საუკუნის შუა წლებში დაარსდა. ცნობილი პიროვნებების, რეჟისორის და იაკობ მარის მიერ. დღესათვის, დაახლოებით, შეიქმნა სხვადასხვა სახეობის მერქნიან მცენარეთა ჯიშს მოიცავს ამ ბაღში არსებული ნაირსახეობა. მცენარეთა ინტროდუქციის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, არის ძალიან მნიშვნელოვანი. გვინდა, რომ ბაღთან დაკავშირებული ჩვენი გეგმები განვახორციელოთ და ბოლომდე მივიყვანოთ, ვინაიდან ბოტანიკურ ბაღს დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის.“

ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობამ ილიას უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ბოტანიკური ბაღის დაბრუნება მხოლოდ გასულ წელს შეძლო.

2013 წელს ადგილობრივი ბუჯეტიდან ქუთაისის ბოტანიკური ბაღისათვის 200 000 ლარია გამოყოფილი. აქედან გამომდინარე, სარემონტო სამუშაოებს 85 000 ლარი მოხმარდება, რისთვისაც ტენდერი გამოცხადდება.

ნანსტან ჩაბალიშვილი

მეგა კრედიტი



გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას:

- უჯარიმო, სალომბარდო სესხები ოქროს უზრუნველყოფით 2,5%-დან
- იპოთეკური სესხები
- ფულადი გზავნილები
- სავალუტო ოპერაციები

ასევე თქვენ გაქვთ საშუალება, განათავსოთ თქვენი ფულადი სახსრები დეპოზიტის სახით, რომელზეც დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი.

„მეგა კრედიტის“ ჰავადადის გამზირზე მდებარე ფილიალში დამატებით შეგიძლიათ ისარგებლოთ „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებით.

ქუთაისი, რუსთაველის 141 („პოპულში“); (0 431) 27 52 45
 ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან“); (0 431) 27 67 10

განხილვა

ცნობილი ტელეპროდუქტორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლის, რეზო ბუხსიანის შვილიშვილი — 1 წლისა და 6 თვის მათე ბუხსიანიძეს, რომელიც დაავადებულია ჰიდროცეფალით, ესაჭიროება ძვირადღირებული ოპერაცია და მკურნალობა საზღვარგარეთ. გთხოვთ, გამოიჩინოთ გულსხმიერება და დაეხმაროთ პატარა მათეს.

„ლიბერთი ბანკი“, ანგარიშის ნომერი: GE58LB011115901376000

ციხე არ არის უსაფრთხო ადგილი...

გიგა გიორგაძე: „ციხეებში არსებულ ყველა პრობლემას ეტაპობრივად ვაგვარებთ“

ციხის კადრების და სასჯელდარღვევების დაწესებულებებში არსებულ გაუსაძლისი მდგომარეობის განმარტების შემდგომ, პენიტენციური სისტემა გაძლიერებული ყურადღების ქვეშ მოექცა და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით არაერთი ღონისძიება გატარდა. სწორედ სასჯელდარღვევების დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობასა და განხორციელებულ რეფორმებზე ესაუბრა გიგა გიორგაძე „პ.ს.“-ს სასჯელდარღვევების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველი მოადგილე გიგა გიორგაძე.

— ბატონო გიგა, რა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს სამინისტრო პრობაციონერთა დასახმარებლად?

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ის, რომ სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ციხიდან გამოშვებული ადამიანების არა კონტროლი, არამედ — მათი დასაქმების მექანიზმები, შესაბამისი პროგრამების განხორციელებით. ამით საგრძობლად შემცირდება ყაჩაღობის და კრიმინალის ფაქტები. სწორედ ამიტომ, ჩვენ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გავაფორმეთ შეთანხმება, რის საფუძველზეც 20 პრობით მსჯავრდებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვის ერთევიან შემსწავლელ კურსს გადის. მათ უკვე დაასრულეს თეორიული სწავლება და ამჟამად პრაქტიკულ კურსს გადიან. სწავლის წარმატებით დასრულების შემდეგ, პრობაციონერები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს და თავიანთ რეგიონებში მექანიზატორის სპეციალობით დასაქმების გარანტირებული შესაძლებლობა მიეცემა.

ასევე ვგეგმავთ, მსგავსი შეთანხმება კულტურის სამინისტროსთანაც გავაფორმოთ და სხვა სამსახურებრივ მოვიცვათ, რაც ხელს შეუწყობს პრობაციონერთა და ყოფილი პატიმრების საზოგადოებაში რეაბილიტაციას. აღსანიშნავია ისიც, რომ პრობაციონერთა დახმარებით ვაშენებთ ეკოლოგიას. მათივე სასიკეთოდ ვხსნით სარეაბილიტაციო ცენტრს, სადაც პრობაციონერები გაივლიან გადამზადების კურსებს, მოეწყობა შეხვედრები ფსიქოლოგთან, მოძღვართან, გაიმართება სხვადასხვა ღონისძიება ჩვეულებრივ მოქალაქეებთან ერთად, რაც საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისათვის აუცილებელია.

ცვლილებები შედის კანონში პრობით მსჯავრდებულთა დაკავშირებით. დღევანდელი კანონმდებლობით,

შესაძლებელია, პრობაციონერს პრობითი მსჯავრი ჰქონდეს 41 წელი, რაც არაადეკვატურია და საჭირო არ არის სახელმწიფომ 41 წელი აწარმოოს მეთვალყურეობა ადამიანზე. კანონში შესული ცვლილებით, პრობითი მსჯავრი მაქსიმუმ ექვსი, მინიმუმ კი ერთი წელი გახდება, რაც სასიკეთოდ საკმარისი იქნება დაკვირვებისა და კონტროლისათვის, რათა დანაშაულის განმეორებით ჩაღვინოს ალბათობა თავიდან იქნას აცილებული. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დანაშაულის განმეორებით ჩაღვინის შემთხვევაში სასჯელი გამკაცრდება, ახალ დანაშაულს პრობით მსჯავრიც დაემატება.

— ამ დროისათვის სამინისტროს რა მიმდინარე და სამომავლო პროექტები აქვს?

პროექტები გვაქვს, როგორც პენიტენციური სისტემის, ასევე იურიდიული დახმარების მიმართულებით. რაც შეეხება დახმარებას, ეს იქნება სოციალურად დაუცველთა საადვოკატო მომსახურება. ამ ეტაპზე არასამთავრობო სექტორთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, თუ სად უნდა განთავსდეს ეს ცენტრი, იყოს სამინისტროში, თუ ჩამოყალიბდეს როგორც დამოუკიდებელი ცენტრი, რათა მისი მომსახურება გაცილებით მოქნილი გახდეს. ცენტრის მიზანი იქნება სოციალური დაუცველი პატიმრებს დაუხმაროს ადვოკატი და სხვადასხვა სახის იურიდიული დახმარება გაუწიოს.

— რაც შეეხება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებას, რომელიც ახლა ფორმირდება, რას გულისხმობს და რა კატეგორიის მსჯავრდებულები მოხვდება ამ დაწესებულებაში?

საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, პრობაციის სისტემაში სრულიად ახალი ტიპის — თავისუფლების შეზღუდვის დაწეს-



გიგა გიორგაძე

ებულება იქნება, რაც ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში. თავისუფლების დაწესებულებაში განთავსდებიან ის პირები, რომლებსაც სასამართლომ შეუფარდა თავისუფლების შეზღუდვა და ის მსჯავრდებულები, რომლებსაც ადგილობრივი საბჭოს მიერ, მათივე თანხმობის საფუძველზე, შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების შეზღუდვით. ამ დაწესებულებაში მსჯავრდებულებს არ ექნებათ შეზღუდული ერთმანეთთან ურთიერთობა და დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილება. ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე კი მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ექნებათ, შაბათ-კვირას დატოვონ და დაწესებულება. რაც მთავარია, მათ შეეძლებათ, დასაქმდნენ დაწესებულების მიერ შექმნილ სხვადასხვა პროფილის საწარმოში და მიიღონ ანაზღაურება. ასევე დასვენების დღეებში ხანგრძლივი პაემნებით შეუზღუდავად

ისარგებლებენ.

თავისუფლების დაწესებულება პროველ ეტაპზე თბილისში იქნება, ის 100 მაშაყა პატიმარზე იქნება გათვლილი, მომავალში კი ვგეგმავთ, მსგავსი ტიპის დაწესებულება დასავლეთ ან აღმოსავლეთ საქართველოში გავხსნათ. მალე გამოვაქვეყნებთ პირველი კვარტლის სტატისტიკას, 2012 წლის დეკემბრიდან 2013 აპრილის მონაცემებით, სადაც ნათლად ჩანს, რომ დანაშაულის განმეორებით ჩაღვინის ფაქტები საგრძობლად არის შემცირებული, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით ბევრი ადამიანი იქნა განთავსებული, ვიდრე წინა წელს.

— ქალ პატიმრებსა და არასრულწლოვანთა მდგომარეობაზე რას იტყვით?

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შექმნას ვგეგმავთ ქალი პატიმრებისათვისაც, რომლებიც საავენტოს ფარგლებში შექმნილ სამკურნალო ფაბრიკებსა და სხვა მსუბუქ

საწარმოებში დასაქმდებიან. არასრულწლოვნების მდგომარეობა კი ამ ეტაპისათვის საგრძობლად არის შეცვლილი და გაუმჯობესებული. ევროპული სტანდარტების დონის შენობაში არიან მოთავსებული. მათთვის შენდება სკოლა, სადაც ყველა ექნება საშუალება, გააგრძელოს განათლების მიღება და დასრულების შემდეგ მიიღოს ჩვეულებრივი საჯარო სკოლის ატესტატი. ასევე ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიიღებენ მონაწილეობას და, იმედია, რომ კარგი შედეგი იქნება. დაავაწესეთ ტრადიცია, რომლის ფარგლებშიც ხუთშაბათობით არასრულწლოვანი პატიმრები კათარზისში მისულ მოხუცებს მოემსახურებიან.

— როგორ შეიცვალა სასჯელდარღვევების დაწესებულებებში არსებული ვითარება, რას იტყვით პატიმრების მიმართ განხორციელებულ ზეწოლის ფაქტებზე, რისი მიაგალითები ქუთაისშიც გამოვლინდა...

ციხეებში არსებულ ყველა პრობლემას ეტაპობრივად ვაგვარებთ. პრობლემები ამანათების შეგზავნაზე გამოწვეული იყო შერეული რეჟიმით, ვიღაც სარგებლობდა შეღავათებით და ვიღაც — არა. ამიტომ ჩვენი რეფორმის ერთ-ერთი მიმართულებაა, ცალკე მოთავსდეს ის პატიმრები, იმის მიხედვით, თუ რა რეჟიმი ეკუთვნით — დახურული, ნახევრად ღია თუ ღია ტიპის დაწესებულება. გამოსწორებულია კვება და მედიკამენტების ფასები, რაც ადრე, გარეთ არსებულ ფასებთან შედარებით, გაცილებით ძვირი იყო, დაკლებულია და ეტაპობრივად მოხდება ფასების მონიტორინგი. ხდება ყველა შენობის რეაბილიტაცია. ქუთაისის ციხეებში დაემატება ხანგრძლივი პაემნების ოთახი. ციხე, ზოგადად, არ არის უსაფრთხო ადგილი, ხდება თვითონ პატიმრებს შორის დაპირისპირება. რაც შეეხება ბაღრატის ან ადმინისტრაციის მხრიდან წამების ფაქტებს, რაც ჩვენ მოვედით, მსგავსი ფაქტები არ დაფიქსირებულა. თუკი ასეთი ინფორმაცია იქნება, ჩვენ აუცილებლად მოვხდენთ რეაგირებას. ამისთვის ციხეებში გენინსპექციაა გაძლიერებული.

ნანსტან ჩაბალიშვილი

სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ერთ კვირას 300 000 ლარის სესხი გაიხსნა

„შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტი“ განხორციელება, რომელიც სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას ისახავს მიზნად, ერთი კვირა დაიწყო. პროექტი 3 კომპონენტისგან შედგება და მასში მცირე, საშუალო ფერმერებისა და მეწარმეების ინტერესები თანაბრად არის გათვალისწინებული. რამდენად მაღალია ბანკებში ფერმერებისა და მეწარმეების აქტიურობა? ითვალისწინებს თუ არა პროექტი ფერმერთათვის სასაფლაო-საკონსულტაციო მომსახურებას? რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ პოტენციური ბენეფიციარები, რომ მათ ბანკებმა სესხი დაუმტკიცონ? ამ და სხვა საკითხებზე „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელი გიორგი მანაძე გვესაუბრა.

— ბატონო გიორგი, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის „შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტი“ განხორციელება ერთი კვირის წინ დაიწყო. რამდენად მაღალია ბანკებში მცირე და საშუალო ფერმერებისა და მეწარმეების აქტიურობა?

— აქტიურობა საკმაოდ მაღალია. დღევანდელი მდგომარეობით, ერთ-ერთმა ბანკმა უკვე დაამტკიცა 8 სესხი და ფინანსური რესურსიც გასცა. ეს არის მეორე კატეგორიის სესხები, საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად, რომელიც 2 წლამდე ვადით 5-დან 100 000 ლარამდე თანხის გაცემას გულისხმობს. აღნიშნული 8 პროექტისთვის გაცემული თანხის ოდენობა, ჯამში, 300 ათას ლარს აღემატება. ამჟამად ასევე განიხილება 5 თუ 6 ბიზნესგანაცხადი. რაც შეეხება სესხის მესამე კომპონენტს, რომელიც 1 მლნ ლარამდე (ექვევალენტი აშშ დოლარში) სესხის გაცემას ითვალისწინებს, სხვადასხვა ბანკში განაცხადები უკვე შესულია.

— რამდენი ხნის მანძილზე მუშაობდა „შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტი“ და ვისთან გაიარეთ კონსულტაციები?

— პროექტთან დაკავშირებით მუშაობა გასული წლის დეკემბერში დაიწყო. შეხვედრები იმართებოდა ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სალიზინგო კომპანიების წარმომადგენლებთან, ასევე სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებების მიმწოდებლებთან. მოვისმინეთ მათი ხედვები. „შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტში“ ყველას ინტერესია გათვალისწინებული. ეს იქნება მცირე და საშუალო ფერმერი, თუ მსხვილი მეწარმე.

— შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტში მონაწილეობაზე ბანკები რამდენად ადვილად დაითანხმებენ?

— ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისთვის ეს პროექტი ძალიან საინტერესო გამოდგა. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის დარგი მათთვის ყველაზე აუთვისებელი და საინტერესო ბაზარია.

— როგორ მოხდა პროექტში მონაწილე ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შერჩევა?

— ჩვენ დაუკავშირდით საბანკო ასოციაციას და მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა ასოციაციას, მოვაწყვეთ საერთო შეხვედრები ყველა ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენელთან და ვუთხარით, თუ სურდათ პროექტში მონაწილეობა, გარკვეული პირობები უნდა დაეკმაყოფილებინათ. გავაცანით ჩვენი პრიორიტეტები. მათმა უმრავლესობამ განაცხადა მზადყოფნა მონაწილეობისთვის. ეს პროცესი კვლავ ღიაა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებსაც შეუძლიათ შემოერთება.

— შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტი 3 კომპონენტისგან შედგება. რას გულისხმობს თითოეული მათგანი?

— პირველი კომპონენტი გულისხმობს მცირე ფერმერებისათვის უპროცენტო განვადებას. საქართველოს ყველა რაიონში რამდენიმე ასეული მაღაზიაა შერჩეული. ფერმერს შეუძლია, მივიდეს ნებისმიერ ამ მაღაზიაში, სადაც მაქსიმუმ 5 000 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო საქონელს (სასუქების გარდა) შეიძინოს. მაღაზია მას პროდუქციის ანგარიშს (ინვოისს) გამოუწერს, რომელსაც ბანკში წარადგენს და ფულს მაღაზიას გადაურიცხავს. ფერმერი კი პროდუქციას მოიხმარს. იმ თანხას, რა ღირებულების პროდუქციაც შეიძინა, მცირე ფერმერი პროცენტის გარეშე ბანკს 6 თვის შემდეგ უბრუნებს... პირველ კომპონენტში ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სამი ბანკია ჩართული.

— რა ინტერესი აქვთ მათ, თუ კი მსესხებლები პროცენტს არ გადაუხდიან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ეს პროექტი მომგებიანია?

— დიახ, მომგებიანია. მაღაზია თავიდან იცილებს საკრედიტო რისკს და, შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ფასდაკლებას უფეთებს. ეს სტანდარტული უპროცენტო განვადების სქემაა, რაც აქამდე მოქმედებდა მთელ რიგ სხვადასხვა ტიპის პროდუქციაზე, მაგალითად, საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე, მაგრამ არა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე. დღეიდან ეს უპროცენტო განვადება ამ საქონელზეც გახდა შესაძლებელი.

— მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ფასის დაკლების საშუალება მაღაზიებს რამდენად აქვთ?

— მაღაზიები მთლიანად ირიდებენ თავიდან საკრედიტო რისკს, რისი მართვაც მათი საქმე არაა. ინდივიდუალური შეთანხმებები მაღაზიებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის უკვე მიღწეულია და ეს სქემა მუშაობს. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, ეს 5-დან 100 000 ლარამდე ოდენობის სესხის გაცემას გულისხმობს. სესხი შესაძლებელია იყოს 12, 18, ან 24-თვიანი.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 17 პროცენტზე მაღალი არ იქნება. ამ საკითხზე ბანკებთან შეთანხმება მიღწეულია. 17 პროცენტთან დაკლებული ფონდი 9 პროცენტს აფინანსებს. მეორე კომპონენტში გათვალისწინებულია ასევე სესხებისთვის მეორადი უბრუნველყოფა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ, პროცენტის გარდა, სესხის ძირითადი თანხის რისკის გარკვეულ ნაწილსაც ვინაწილებთ ფინანსურ ინსტიტუტებთან. „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ და „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ იტოვებს უფლებას, რომ პროექტში მონაწილეობისგან ჩაიხსნას ესა თუ ის ბენეფიციარი თუ დაირღვა ორი პირობა. პირველი — თუ კი სესხის მიზნობრიობა დაირღვა, ბენეფიციარი ბანკთან დარჩება პირისპირ. მეორე მიზეზი კი გახლავთ ვალდებულების შეუსრულებლობა. თუ მსესხებელი ჯერონად არ ასრულებს იმ ვალდებულებას,



გიორგი მანაძე

რაც ბანკის მიმართ აქვს აღებული, ანუ მის წილ პროცენტს არ გადაიხდის. ერთჯერად შემთხვევას ეს არ შეეხება, მაგრამ თუ კი პროცენტის გადაუხდელობა რეგულარულად მოხდება, მაშინ მსესხებლის პროექტიდან გამოთიშვის საკითხი განიხილება. რაც შეეხება „შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტის“ მესამე კომპონენტს, ეს 30 000-დან 600 000 ლარამდე სესხის გაცემას გულისხმობს. მესამე კომპონენტი ითვალისწინებს გადამამუშავებელი, მაგალითად: ჩაის, ხილის, ბოსტნეულის, თამბაქოს, ალკოჰოლური სასმელების საწარმოების განხილვას; საჩითილ, საწარვე მეურნეობების ამუშავებას; სასაწყობო ფართების, მარკეტის საშრობების, სამაცივრების მოწყობას და ა.შ. სესხის მაქსიმალური ვადა 7 წელია. პროცენტის მაქსიმალური განაკვეთი 15 პროცენტი იქნება. ფონდი კი აქედან 12 პროცენტს გადაიხდის. მსესხებელს მაქსიმუმ 3 პროცენტის გადახდა მოუწევს, თუმცა, შესაძლოა, ის 2, ან 1 პროცენტი იყოს.

— პროცენტის თანდაფინანსება როგორ მოხდება?

— „შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტის“ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ აფინანსებს. მისი განმარტებული ფონდი კი „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“. დარიცხული პროცენტი, მაგალითად, 17 პროცენტი, 2 ნაწილად იყოფა. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი და სააგენტოს მიერ გადასახდელი თანხა. როგორც კი ბენეფიციარი თავის ვალდებულებას შეასრულებს, მეორე დღესვე სააგენტო მის წილ პროცენტს გადაურიცხავს ავტომატურ რეჟიმში.

— რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ მცირე და საშუალო ფერმერები, მეწარმეები, რომ ბანკებმა მათ სესხი დაუმტკიცონ?

— მათი ბიზნესგანაცხადი სოფლის მეურნეობის განვითარებას უნდა ითვალისწინებდეს. შემდეგ უკვე საბანკო პროცედურის გავლა მოუწევთ. ყველა პროექტი განვითარებასა და მოგების მიღებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ბანკი შეაფასებს რისკებს, პროექტის მომგებიანობას, თუ ჩათვლის, რომ ყველა იმ რისკის გათვალისწინებით, რაც ზოგადად ბიზნესს ახლავს, ბიზნესგეგმა გაამართლებს, სესხს დაამტკიცებს.

— რამდენიმე ეკონომიკური ექსპერტი „შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტის“ მიმართ კრიტიკულად განწყობილი. ისინი აცხადებენ, რომ

ფერმერებს გაუჭირდებათ კვალიფიციური ბიზნესგეგმის დაწერა. ბანკები იმისთვის, რომ აგროსესხს გასცენ, მსესხებლისგან საგარანტიო რესურსს ითხოვენ. ვინაიდან სოფლებში ქონება საკმაოდ გაუფასურებულია, ექსპერტები ამბობენ, რომ მათ ამ პროექტით სარგებლობა — სესხის მიღება გაუჭირდებათ. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— რაც შეეხება მცირე ფერმერებს, რომლებიც, ძირითადად, პირველ კომპონენტში არიან ჩართულნი, მათ ბიზნესგეგმა არ სჭირდებათ. მეორე და მესამე კომპონენტისთვის ბანკები ბიზნესგეგმას ითხოვენ. რაც შეეხება მეორე და მესამე კომპონენტის ბენეფიციარებს — საშუალო ფერმერებს, არის უამრავი კერძო საკონსულტაციო კომპანია, რომლებიც ბიზნესგეგმის მომზადებაზე მუშაობენ, მათ შორის უშუალოდ სოფლის მეურნეობის დარგშიც. რა თქმა უნდა, ეს მომსახურება გარკვეული თანხა ღირს, თუმცა თუ საშუალო მეწარმეს 100 000 ლარის ადგილი სურს, მან ყველა ინფორმაცია უნდა მოიძიოს და ყველაფერი გააკეთოს. ნებისმიერი საქმე ჯეროვანი დაგეგმვით უნდა დაიწყოთ. ბიზნესგეგმა აჩვენებს, რამდენად გათვითცნობიერებულია ადამიანი იმ საქმეში, რომელსაც ნელს ჰკიდებს. გათვლილი უნდა იყოს რის გათვლებას აპირებ, რა თანხა საჭირო, პროდუქციის რა ფაზაზე გაყიდო და ვის მიჰყიდი — ყველა ამ კითხვებზე უნდა იყოს პასუხი. ბიზნესგეგმა ადამიანს საშუალებას აძლევს, დაარწმუნდეს, თუ რამდენად შესაძლებელია პროდუქციის რეალიზება. ვისაც ბიზნესში არანაირი გამოცდილება არ აქვს და ფიქრობს, იაფი კრედიტა, პროექტში ხომ არ ჩავერთოთ, მას ამ პროექტში მონაწილეობას არ ვუბრუნებ, რადგანაც ბანკებთან ურთიერთობა, ბიზნესის მართვა ძალიან სპეციფიკური საკითხია და გარკვეულ გამოცდილებას საჭიროებს.

— ხომ არ გეგმათ, ამ პროექტში საკონსულტაციო რგოლი ჩართოთ? მობილური ჯუფები ჩამოყალიბდეს, რომელიც ფერმერებს ბიზნესგეგმის მომზადებაში დაეხმარება, კაპიტალისა და ფინანსური რესურსების მართვაში კონსულტაციებს გაუწევს?

— ჩვენს მიერ ამ ეტაპზე მსგავსი ღონისძიება გათვალისწინებული არ არის, რამეთუ ჩვენს მიერ კონსულტაციების გაწევა, როდესაც ამის პარალელურად პროცენტის ნაწილის დაფინანსებას ვახდენთ, ინტერესთა კონფლიქტის მომენტს მოიცავს. როგორც მოგახსენეთ, უამრავი კერძო საკონსულტაციო კომპანიაა, სადაც შესაძლებელია ბიზნესგეგმის მომზადება, ხოლო შეღვათიანი სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამისთვის „რა მოცულობის თანხა აქვს გათვალისწინებული?“ — ეს რთული სათქმელია, დამოკიდებულია იმაზე თუ რა მოცულობის სესხს გასცემენ ბანკები. ჩვენ გვაქვს დაგეგმილი სავარაუდო პორტფელი 2013 წლისთვის, შესაბამისად, ჩვენი თანხებიც ამ სავარაუდო პორტფელზეა მიბმული, თუმცა თუ მოთხოვნა უფრო მეტი იქნება, დამატებითი დაფინანსების მოზიდვაც არ იქნება პრობლემა.

— როგორც ითქვა, „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ საქველმოქმედო ფონდ „ქართუსა“ და „საერთაშორისო საქველმოქმედო სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდისგან“ ფინანსდება...

— დიახ, ასეა, თუმცა ახლა ფინანსები, ძირითადად, ფონდ „ქართუსგან“ არის გამოყოფილი... ორივე ფონდთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ვალდებულებებს აქვთ აღებული, რომ ჩვენს მიერ წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (დამტკიცებული პროექტების ფარგლებში), უპრობლემოდ გამოიყოფა საჭირო თანხა.

— რა შედეგს ელოდებით „შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტისგან“?

— ჩვენი გათვლებით, პირველადი პროდუქციის გადამამუშავება საქართველოში მოხდება. გლეხებს არ ექნებათ პრობლემა, მიღებული პროდუქცია მაცივრებში შეინახონ სეზონზე რეალიზაციისთვის ან მიაწოდონ გადამამუშავებელ საწარმოებს. შემდეგ კი, სეზონზე, როცა ფასები აიწევს, რეალიზაცია გაუკეთონ და ა.შ. პროექტის მიზანია სოფლის გამოცოცხლება, მოსახლეობის სოფელში დაბრუნება, მათი შემოსავლების მატება. უნდა მოხდეს ადგილობრივი კონკრეტულ-ნარაინი და ხარისხიანი წარმოების გაზრდა. იმპორტირებული, ხშირად საეჭვო ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ქართულმა წარმოებამ უნდა ჩაანაცვლოს.

ქვეყნის პოლიტიკა

ყვერდი: რთული არჩევანის გაკეთება მოგიწევთ, სასწორზე კარიერაში ზრდა და ბენეფიტი პირადი ცხოვრება დევს.

კურთ: არ ღირს გულთან ახლოს ყველაფრის მიტანა, რასაც გეტყვიან. მოიქეცით ისე როგორც საჭიროდ თვლით, ოღონდ ნუ დაივიწყებთ რჩევა ჰკითხოთ მათ, ვის აზრსაც პატივს სცემთ.

ტყუებები: ყური დაუდეთ თქვენთვის ახლობელი ადამიანის რჩევა დარიგებებს. უარს ნუ იტყვით მეგობრების დახმარებაზე, რადგან მათი თანადგომა აუცილებლად დაგჭირდებათ.

კირჩხიბი: გირჩევთ ყურადღება მიაქციოთ ახლობელი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, რადგან შორეული მგზავრობა რთულ მდგომარეობაში ჩააგდებს მას.

ლილი: ეს კვირა ემოციური იქნება თქვენთვის. თუ ემოციებს სწორად წარმართავთ, მაშინ მუშაობაში ხელს შეგიწყობთ, თუ ემოციებს აპყვებით, მოვალეობები დაგაგიწყობთ.

ქალწული: ნუ იტყვით უარს შემოთავაზებულ წინადადებებზე. უბრალოდ არ ღირს დაუფიქრებელი გადაწყვეტილებების მიღება ამ წინადადებებთან დაკავშირებით.

სასწორი: საყოველთაო პირობებში ბევრ დროსა და ენერჯის წაგართმევთ. გირჩევთ ყველაფერი საკუთარ თავზე არ აიღოთ და დახმარებისთვის ოჯახის წევრებს მიმართოთ, რადგან შედეგებით მთელი ოჯახი ისარგებლებს.

მორიელი: უმჯობესია, ყველაფერი ისე დატოვოთ, როგორცაა. ეს ეხება პირად ცხოვრებასაც და სამსახურსაც. თქვენ მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაშე დგახართ.

მშვილდოსანი: შესაძლებელია, შეიცვალოს ხელმძღვანელობისა და კოლეგების დამოკიდებულება თქვენს მიმართ.

თხის რქა: თქვენი გეგმები შეიძლება დაირღვეს თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით. ეს შეიძლება იყოს როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართაობა, აგრეთვე თქვენი კოლეგების მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა.

მერწყული: არ გირჩევთ ერთმანეთში აურით სამსახური და პირადი ცხოვრება, აგრეთვე ნუ მისცემთ პრიორიტეტს ისეთ საქმეებს, რაც ამ მომენტისთვის საჩქარო არაა.

თევზები: თქვენი გეგმების განხორციელებას არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი, თუ თქვენ თვითონ არ შექმნით რამე პრობლემას.

Table with 12 columns and 12 rows containing numbers and letters for a crossword puzzle.

Table with 12 columns and 12 rows containing numbers for a crossword puzzle.


უჯრედული იმპლანტანტები მამაკაცის უნაყოფობის წინააღმდეგ



მამაკაცები, რომელთა უნაყოფობა ბავშვობაში ჩატარებული კიბოს საწინააღმდეგო თერაპიის ბრალია, ამ პრობლემის ღეროვანი უჯრედების დახმარებით დაძლევენ. ამას აღასტურებს იმ გამოკვლევათა შედეგები, რომლებიც პიტსბურგის უნივერსიტეტისა და Magee-Womens ინსტიტუტის მეცნიერებმა მიმოიხილეს ჩატარეს.

ლი ასაკის მიმოიხილეს სამმა შემდგომში შეძლო კვერცხურების განაყოფიერების უნარის მქონე სპერმის გამოუშვებმა. უნიკალური შედეგის მიუხედავად, მეთოდს სპეციალისტების ერთსულოვანი მხარდაჭერა ჯერ არ მიუღია. მაგალითად, უნდა განისაზღვროს, როდის განხორციელდეს ღეროვანი უჯრედების გადასარგვა — თერაპიის დასრულებისთანავე, მას შემდეგ, რაც ექიმი სრულ განკურნებას დაადასტურებს თუ მაშინ, როცა მამაკაცი ოჯახის შექმნას გადაწყვეტს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს კიბოს რეციდივის საშიშროება, რადგან ადამიანს უკანვე უნერგავენ უჯრედებს, რომლებსაც კიბოს საწინააღმდეგო ზემოქმედება არ განუცდია — გამორიცხებული არ არის, გაყინულ მასალაში სიმსივნური უჯრედები აღმოჩნდეს; ისიც შესაძლოა, ამ გზით მიღებულმა სპერმატოზოიდებმა რამდენიმე თაობაში ჯანმრთელი შთამომავლობა ვერ მოგვცეს.

ბილინგვა



ჟორა მალრადეს

აპრილი მოდის, ლურჯი აპრილი, ულამაზესი, თვალგებრილია, და მოგილოცავთ დაბადების დღეს, სუყველა ერთად, ერთი კი არა!

გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენი ძვირფასო და საყვარელო ძამიკო! გისურვებთ ოჯახურ დიდ სიყვარულს, რასაც იმსახურებ შენს საყვარელ მეუღლესთან და დიდ მონაგართან ერთად. დ ი დ ხ ა ნ ს , დ ი დ ხ ა ნ ს ი ცოცხლებ!

შენი საყვარელი დები და დისშვილები ელადაღან

A large crossword puzzle grid with various clues in Georgian and English.

ფაბრიკა ალექსი ნაბაძე

არქიტექტორის მშენიერი „პორტრეტები“

5 აპრილს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში არქიტექტორ გივი თოღაძის ფოტოალბომის „პორტრეტების“ პრეზენტაცია გაიმართა. გივი თოღაძე ქუთაისის ერთ-ერთი გამოჩენილი მოქალაქეა. მას საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა „არქიტექტურის რაინდის“ ტიტული მიანიჭა.

ნო მოღვაწეების, მხატვრების, მწერლების, კომპოზიტორების, ცნობილი ადამიანების საინტერესო პორტრეტები.

დამსწრე საზოგადოება ერთხმად შეთანხმდა, რომ ბატონი გივის შემოქმედებაში ღრმად იგრძნობა ავტორის პიროვნული ღირსებები, ნიჭიერება, ეროვნული სულისკვეთება. „პორტრეტების“ მნიშვნელოვან ნაწილს შარყები წარმოადგენს. სხვადასხვა ცნობილ სახეთა იუმორისტულმა გამოსახულებებმა გივი თოღაძის შემოქმედებითი შესაძლებლობები კიდევ უფრო ფართო დიაპაზონით წარმოაჩინა, სტილური მრავალფეროვნება კი ამტკიცებს, რომ როგორც ხელოვნებათმცოდნე ზურაბ თოღაძე ამბობს, „მან იცის მსოფლიო ხელოვნება.“

ამ წიგნის გამოცემაში ავტორის ფინანსური დახმარება ექიმმა და მთამსვლელმა თემურ ძიძიუტრმა გაუწია.


ჰანა ჯანალიძე

პინ პინს უოგონო? პასუხი წინა ნომრის უოტო-ვიპტორინაჰა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი მხოლოდ სულიყო ფუტკარადემ ამოიცნო.

რას დააჩქევლით? პასუხი წინა ნომრის უოტო-ვიპტორინაჰა თია ნულუაინი დაგვიკავშირდით: (0 431) 24-45-46, 24-82-25. psnews27@gmail.com

ქროსვორდი

თარაზულად: 3. რა არის ტატი. 5. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში. 6. ადამიანის ბალანი. 8. დიდი მხარობელა გველი. 9. ჯადოქრობა, მისნობა. 11. ისლანდიის პარლამენტი. შევეულად: 1. ქალაქი საქართველოში. 2. ... დე ფიუნესი. 3. ქვეყანა ინდონეზიაში. 4. ეს ცინესიმაგრე აიღო სუფოროვმა. 7. თეფში. 10. ფრანგი ფიზიკოსი ალექს ტერეზ...



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ნივერია. 5. სპილი; 6. ფსი. 8. ჩუი. 9. ფლორა. 11. იამიკა. შევეულად: 1. ავული. 2. ურო. 3. ნეტუნე. 4. ფსტრია. 7. ელვის. 10. ეტუ.

სადიკა

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეული რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამოვრდეს!

A 9x9 grid for a logic puzzle with numbers in some cells.

კიმერიონი

qimerioni.ge



მეცნიერები გადაშენებული ცხოველების გაცოცხლებას აპირებენ

მეცნიერები აქტიურად მსჯელობენ 24 გადაშენებული ცხოველის აღდგენასა და დედამიწაზე დაბრუნებაზე, თუმცა ეს არ იქნება იურიდიული პერიოდის პარკის მსგავსი მოვლენა, რადგან, მკვლევართა თქმით, დინოზავრების დნმ-ი ამ პროექტისთვის ძალიან ძველია. კონკრეტული სახეობები მეცნიერებმა განიხილეს ვაშინგტონში, TEDx კონფერენციაზე, რომელსაც National Geographic-ი ასპონსორებდა.

სიაში შედის მე-17-18 საუკუნეებში ამომწყდარი ფრინველი დოდო, კაროლინის გრძელკუდა თუთიყუში, რომელიც ბოლოს 1904 წელს ნახეს ფლორიდაში და კვაგა, ზებრის სახეობა, რომელიც ერთ დროს სამხრეთ აფრიკაში ბინადრობდა. ველურ ბუნებაში ბოლო კვაგა 1870 წელს მოკლეს, ხოლო ტყვეობაში მყოფი უკანასკნელი ეგზემპლარი 1883 წელს მოკვდა.

სახეობების შერჩევისას მეცნიერები ხელმძღვანელობდნენ გარკვეული კრიტერიუმებით, ასევე განიხილეს ამ მოვლენის ეთიკური მხარეები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ის იყო, თუ რამდენად სასურველია ამის განხორციელება, ჰქონდათ თუ არა ცხოველებს ეკოლოგიური კუთხით მნიშვნელობა და რამ-

დენად პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდათ ადამიანებს მათ მიმართ.

შემდეგი საკითხი ეხებოდა პრაქტიკულ სფეროს — მოიპოვება თუ არა კარგად შემონახული ქსოვილები დნმ-ის ნიმუშებით, რათა სახეობებს გამრავლების საშუალება მიეცეთ. ასევე, რამდენად შესაძლებელი იყო მათი ხელახლა დამკვიდრება თანამედროვე სამყაროში და დაემუქრებოდათ თუ არა რაიმე სახის საფრთხე, რა იყო მათი გადაშენების მიზეზი და ა.შ.

დროთა განმავლობაში დნმ-ი დეგრადაციას განიცდის და ნიმუშების აღება რთულდება, ამიტომ მეცნიერებმა შეარჩიეს ისეთი სახეობები, რომლებიც უახლოეს წარსულში, ან რამდენიმე ათასი წლის წინ გადაშენდნენ. რაც შეეხება დინოზავრებსა და მილიონობით წლების წინ მობინადრე სხვა არსებებს, ჯერჯერობით, მათი გაცოცხლების საკითხი არ დგას.

National Geographic-ის შემდეგ ნომერში აღწერილი იქნება, როგორ მოხდება ცხოველების გაცოცხლება — ძველი დნმ-ის ნიმუშების აღება, სრულ გენომთან შერწყმა და ემბრიონულ უჯრედებში მოთავსება, საიდანაც მანამდე ამოღებული იქნება მათი დნმ-ი, რის შემდეგაც სუროგატ ორგანიზმში ნაყოფი დაიწყებს განვითარებას.

გაყინული ნამარხებიდან დნმ-ის ამოღება შესაძლებელია.

Washington Post-ის მიხედვით, 10 წლის წინ ფრანგი და ესპანელი მეცნიერების ჯგუფმა სცადა გადაშენებული გარეული თხის გაცოცხლება, თუმცა მან მხოლოდ 10 წუთი იცოცხლა.

გადაშენებული ცხოველების აღდგენის იდეა აჩენს გარკვეულ ლოგიკურ და ეთიკურ კითხვებს, მაგალითად, როგორ მოახერხებენ მეცნიერები იმ ცხოველების დნმ-ის მოპოვებას, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობენ, ასევე საერთოდ უნდა განხორციელდეს თუ არა მსგავსი რამ.

იქნებოდა თუ არა გაცოცხლებული ცხოველები ძველად მობინადრეების ზუსტი ასლები? საგარაუდოდ — არა. რადგან, მაგალითად, მამონტებს სპილოები გაზრდიან და მათი ქცევის თავისებურებები თანამედროვე სპილოების მსგავსი უფრო იქნება, ვიდრე გადაშენებული მამონტებისა.

პროექტის ღირებულება დამოკიდებულია სახეობებზე, თუმცა მეცნიერები თვლიან, რომ საჭირო ფინანსების მოცულობა რამდენიმე ასეული ათასი დოლარი იქნება.

წარსულში მეცნიერებმა კლონირების ტექნოლოგიის დახმარებით

სცადეს ბაყაყის ერთ-ერთი სახეობის გაცოცხლება, როცა „მკვდარი“ უჯრედის ბირთვი მოათავსეს სხვა სახეობის ბაყაყის კვერცხურედში. შედეგი ის იყო, რომ ემბრიონმა მხოლოდ რამდენიმე დღე იცოცხლა. თუმცა „ლაზარეს პროექტის“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ მეცნიერულ წრეებში წინ წაშლისწია ბევრიანი მამონტების მსგავსი ცხოველების აღდგენის საკითხი.

5 წლის განმავლობაში სისტემატურ ექსპერიმენტებში მეცნიერები იყენებდნენ მეთოდს, რომელიც დონორის ბირთვით კლონირებული ემბრიონის შექმნაში გამოიხატებოდა. ისინი იღებდნენ დიდი ღარებიანი ბაყაყის კვერცხურედს, აკლიდნენ ბირთვის და ანაცვლებდნენ იმ გადაშენებული ბაყაყის გენებით, რომელიც მას ენათესავებოდა. ნაწილი მაშინვე იწყებდა დაყოფას და ემბრიონის აღრეულ სტადიამდე აღწევდა.

მართალია, ვერცერთი გადარჩა და მაქსიმუმ რამდენიმე დღე გასტანეს, მაგრამ გენეტიკურმა ტესტებმა დაადასტურა, რომ დაყოფილი უჯრედები ნამდვილად შეიცავდნენ გადაშენებული ბაყაყის მეგვიდრულ ნიშანთვისებებს.

ucnauri.com


ნიბნები უნ გელოვება!




მისამართი:
ქუთაისი, „პოპულონი“;
ტელ.: (790) 927 927.



დოდოს ბუნებრივი მტაცებლები არ ჰყოლია, მაგრამ ადამიანების მხრიდან მათზე ნადირობამ გადაშენება გამოიწვია




სპილოს ნათესავი - ბენვიანი მამონტი 4000 წლის წინ გადაშენდა



ზებრის გადაშენებული სახეობა კვაგა სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობდა



თეთრნისკარტა კოდალა ბოლოს 1940-იანებში დააფიქსირეს.



მოას სიმაღლე 3.5 მეტრს აღწევდა. ის გადაშენდა მაორის ტომების მიერ მათზე ნადირობის შედეგად



ტასმანიური ვეფხვი სიაში მყოფი ერთადერთი ჩანთოსანია. ის 1960-იან წლებამდე ბინადრობდა ავსტრალიაში, ტასმანიასა და ახალ გვინეაში